ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #180-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.034.753) ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება



ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #180-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.034.753) ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება

შემსრულებელი:

შპს „STS“

ნ. არჩუაძე

ზ. ბერაძე



სარჩევი

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები 8

საკვლევი არეალი 8

არსებული სიტუაციის მიმოხილვა 9

ქუჩათა ქსელი 9

საპროექტო ტერიტორიის შესწავლა საკვლევი არიალის ფარგლებში 16

კვლევის მიზანი 16
მეთოდოლოგია (არსებული სიტუაციის შესწავლა) 16
კვლევის ჩატარების პროცესი 16
ქვეითთა მოძრაობა 19
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 19
M3 კატეგორია 20
M2 კატეგორია 21
რეზერვების ანალიზი 21

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა 28

გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება 29

გენერირებული ნაკადები 30
გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი 35
მიზიდული ნაკადები 37

საკვლევი არეალის ქუჩებისა და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა 41

ლოკაცია #1 დიდი დიღომი. მირიან და ფარნავაზ მეფის ქუჩების წრიული კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 1) 41
ლოკაცია #2 ჯორჯ ბალანჩინის და აკაკი ბელიაშვილის ქუჩების კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 2) 48

გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები 55

ქუჩათა ქსელი 55
საქვეითე მოძრაობა 58
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 59

დანართი 61

[1] სატრანსპორტო ნაკადები მიმართულებებით 61
[2] სატრანსპორტო ნაკადები 15 წუთიანი ინტერვალებით 63
[3] M3 მარშუტები: 64
[4]M2 მარშუტები: 68

გამოყენებული ლიტერატურა 78

1. თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია, დეკემბერი 2015 ჟან-მანუელ ჟილი - ინდივიდუალური კონსლულტანტი. 78
2. www.ttc.com.ge 78
3. СНиП 2.07.01-89. 78
4. შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA) 78
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება No 41 2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი. 78
6. „МЕТОДИЧЕСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ ПО ОЦЕНКЕ ПРОПУСКНОЙ СПОСОБНОСТИ АВТОМОБИЛЬНЫХ ДОРОГ“, ФЕДЕРАЛЬНОЕ ДОРОЖНОЕ АГЕНТСТВО (РОСАВТОДОР), ОДМ 218.2.020-2012, М. 2012; 78

7. А.Г. Левашев, И.М. Головных, „ИДЕАЛЬНЫЙ ПОТОК НАСЫЩЕНИЯ НА РЕГУЛИРУЕМОМ ПЕРЕСЕЧЕНИИ“ - http://transport.istu.edu/downloads/satur_flow.pdf 78

8. „РАСЧЕТ ПРОПУСКНОЙ СПОСОБНОСТИ МАГИСТРАЛЕЙ И УЗЛОВ“ 78

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**16-01182182787**
თარიღი: **06/08/2018**

ადრესატი:

რუსუდან მირზიკაშვილი
ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალბატონო რუსუდან,

თქვენი 2018 წლის 10 ივლისის წერილის (№67-01181912570) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი #180-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.034.753) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცებას (01181801461-67), გაცნობებთ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის „1²“ პუნქტის და მე-9 მუხლის „5¹“ შესაბამისად წარმოსადგენია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შეთანხმებულია და თან უნდა დაერთოს წინასაპროექტო კვლევის დოკუმენტაციას.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 2 ფურცელი

დანართი 2: 1 ფურცელი

დანართი 3: 1 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა**		
1.1.	საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა და რეზერვი	ქუჩები: მირიან მეფის ქუჩა, ჯ. ბალანჩინის ქუჩა. კვანძები: N1. ფარნავაზ მეფის გამზირი-მირიან მეფის ქუჩა-როსტევანის ქუჩა N2. ა. ბელიაშვილის ქუჩა-ჯ.ბალანჩინის ქუჩა	საჭიროა მონიშნული ქუჩებისა და კვანძების ***გამტარუნარიანობის გამოთვლა, არსებული ნაკადების დათვლა და რეზერვის გაანგარიშება.*** საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და ძირითად კვანძებს, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითადი წერტილებისაკენ.
1.2.	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან აღმაშენებლის გამზირზე მდებარე უახლოეს ავტობუსის გაჩერებამდე მისასვლელი გზა საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით*	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე ***მისასვლელი მანძილი,*** საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა ***საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია*** (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ***ტროტუარის არსებობა, ბარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა***. ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი. საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

			მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობა, მოცულობა და რეზერვი		საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობის შესწავლისას საჭიროა საპროექტო ტერიტორიის მომსახურე საზ. ტრანსპორტის ***სივრცითი დაფარვის, მოცულობების და რეზერვის გამოთვლა.*** საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებული მომსახურების შესწავლა საჭიროა იმისთვის, რომ დადგინდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების არსებული რეზერვი. რეზერვის გამოთვლისა და ზეგავლენის შეფასების შემდგომ გამოვლინდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების საჭიროებები.
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	საპროექტო ტერიტორიის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და შესაძლებლობის შემთხვევაში სუფთა ფართობი ფუნქციების მიხედვით. ასევე თანამშრომელთა დაახლოებითი რაოდენობა		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიის მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად.
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში ვიზიტორთა რაოდენობა (თანამშრომელთა რაოდენობა)		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.


დანართი 2. საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
პირობითი აღნიშვნები
ავტობუსის გაჩერება
მეტრო
საპროექტო ტერიტორია
სხვა გზები
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
შენობები
ჰიდროგრაფია
მირიან მეფის ქ.
ჯ. ბალანჩინის ქ.
დისევის ქ.
ა. ბელიაშვილის III ჩ.
ა. ბელიაშვილის II ჩიხი
ფარსადანის ქ.
ჯანბაზირის ქ.
ნ. ბოხუას ქ.
480600
480800
481000
481200
481400
481600
481800
4626200
4626000
4625800
4625600
4625400
0
25
50 მ
N


დანართი 3. საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
მირიან მეფის ქ.
N 1
N 2
გვირილების ქ.
ქართულ ამერიკული მეგობრობის გამზ.
ჯ. ბალანჩინის ქ.
დისევის ქ.
ა. ბელიაშვილის ქ.
ფარსადანის ქ.
ჯანბაზირის ქ.
პირობითი აღნიშვნები
საკვლევი კვანძები
საპროექტო ტერიტორია
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
სხვა გზები
შენობები
ჰიდროგრაფია
0
25
50 მ
N
480400
480600
480800
481000
481200
481400
481600
4626600
4626400
4626200
4626000
4625800

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის #180-ში (საკადასტრო კოდი 01.72.14.34.753) მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების მიზანშეწონილობა საგზაო ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

კვლევის დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ მირიან მეფის და ჯ. ბალანჩინის ქუჩების, ფარნავაზ მეფის გამზირის - მირიან მეფის ქუჩის - როსტევანის ქუჩის და ა. ბელიაშვილის - ჯ. ბალანჩინის კვანძების დღეს არსებულ მდგომარეობას, საგზაო ინფრასტრუქტურას, ქვეითთა მოძრაობას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას.

საკვლევი არეალი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მირიან მეფის ქუჩისა და დავით აღმაშენებლის ხეივნის გადაკვეთაზე (საკადასტრო კოდი 01.72.14.034.753). მისი ფართობი შეადგენს 8854 კვ.მ.-ს.



ილუსტრაცია # 1

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

ქუჩათა ქსელი

საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევისას განვიხილავთ მირიან მეფის და ჯ. ბალანჩინის ქუჩების, ფარნავაზ მეფის გამზირის - მირიან მეფის ქუჩის - როსტევანის ქუჩის და ა. ბელიაშვილის - ჯ. ბალანჩინის კვანძების დღეს არსებულ მდგომარეობას და საგზაო ინფრასტრუქტურას.

ქუჩების აღწერა

1. მირიან მეფის ქუჩა

#	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2-2
3	ქუჩის სიგრძე	3670 მ
4	ქუჩის სიგანე	14-15 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	2 - 3
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	აკრძალულია ნაწილობრივ
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	16
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი
13	ვერტიკალური მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	3
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 1



ილუსტრაცია # 2



ილუსტრაცია # 3

2. ჯ. ბალანჩინის ქუჩა

#	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ცალმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	4-4
3	ქუჩის სიგრძე	1130 მ
4	ქუჩის სიგანე	17-17 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	70
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	1,5-2
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	აკრძალულია
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	2
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	ნაწილობრივ

13	ვერტიკალური მონიშვნა	კი
14	შუქნიშნის ობიექტი	1
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 2









ილუსტრაცია # 4



ილუსტრაცია # 5

კვანძების აღწერა

ფარნავაზ მეფის გამზირის - მირიან მეფის ქუჩის - როსტევანის კვანძი

	დასახელება	ქუჩები და გამზირები		
#	მირიანი მეფე - ფარნავაზ მეფე - როსტევანის	მირიანი მეფის	ფარნავაზ მეფის	როსტევანის
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ცალმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2 - 2	3 - 3	1-1
3	ქუჩის სიგანე მ	14 -15	14 -15	8-13
4	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	60	60
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დამაკმაყ.	დაზიანებული ასფალტი, გრუნტიანი
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	კი	არა

7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	არა	არა	არა
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	ზებრა გადასასვლ	ზებრა გადასასვლ	არა
9	მოძრაობის მიმართულებები	1.1; 1.2; 1.3; 1.8; 1.10; 1.11; 1.12; 1.13; 1.14; 1.16	1.4; 1.5; 1.6; 1.7; 1.15	1.9; 1.17
10	შენიშვნა			

ცხრილი N 3



ილუსტრაცია # 6

2) ა. ბელიაშვილის - ჯ. ბალანჩინის ქუჩების კვანძი

	დასახელება	ქუჩები და გამზირები	
#	ა. ბელიაშვილი - ჯ. ბალანჩინი	ა. ბელიაშვილი	ჯ. ბალანჩინი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ცალმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2 - 2	4-4
3	ქუჩის სიგანე მ	21-22	17 -17

4	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	70
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დამაკმაყ.
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	ნაწილობრივ
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	კი	კი
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	შუქნიშნით	შუქნიშნით
9	მოძრაობის მიმართულებები	2.7; 2.8	2.1; 2.2; 2.3; 2.4; 2.5; 2.6
10	შენიშვნა		

ცხრილი N 4



ილუსტრაცია # 7

საპროექტო ტერიტორიის შესწავლა საკვლევი არიალის ფარგლებში

კვლევის მიზანი

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის, სატრანსპორტო და საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა. პროექტის განხორციელების შემდგომ სატრანსპორტო ნაკადებზე ზეგავლენის შეფასება.

მეთოდოლოგია (არსებული სიტუაციის შესწავლა)

პირველ ეტაპზე, რუკაზე განისაზღვრება საკვლევი ტერიტორიის არეალი და აღინიშნება ის ქუჩები, გამზირები და გზაჯვარედინები (მოცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ), რომლებზეც ზეგავლენას მოახდენს პროექტის განხორციელება.

საპროექტო არეალზე მისვლით და შესწავლით, ზუსტდება ადგილები და მათი რაოდენობა, სადაც უნდა განხორციელდეს კვლევა.

დამკვირვებლებს რომლებიც კვლევის განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას ჩაუტარდათ ტრეინინგი. მათი უმრავლესობა შეადგენს სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან საჭირო უნარჩვევებით კონკრეტული დავალებების შესასრულებლად.

კვლევის ჩატარების პროცესი

ეტაპი პირველი: საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევა

განისაზღვრა საპროექტო არეალიდან გამომსვლელი და შემსვლელი ქვეითთა სავარაუდო გადაადგილდების სქემა.

ეტაპი მეორე: საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწვდომადობის შესწავლა

საპროექტო არეალიდან უახლოეს გაჩერებებზე ჩავატარეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის კვლევა.

კვლევა განხორციელდა დამკვირვებლების მიე, სუპერვაიზერის მეთვალყურეობის ქვეშ.

კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილის და საღამოს პიკი საათებში (19 - 20 სექტემბერი, ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 08:30 - 09:30 და 18:00 - 19:00 სთ).

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის ანალიზისათვის, აღვრიცხეთ გაჩერებაზე M3 და M2 კატეგორიის ავტობუსები. გაჩერებებზე დამკვირვებლებმა მოახდინეს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაკვირვება და მისი დატვირთულობის შეფასება.

შევიმუშავეთ 10 ბალიანი სისტემა სატრანსპორტო საშუალებების დატვირთულობის ანალიზისათვის (ილუსტრაცია # 8).

გაჩერებებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის შეფასება .											
M2 კატეგორიის ავტობუსი (16 დასაჯდომი + 5 ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	2	4	6	9	12	14	16	18	20	21 +
M3 კატეგორიის სამუალო ტევადობის ავტობუსი (21 დასაჯდომი + 22 ნებადართული ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	3	8	12	16	21	26	30	35	39	43 +
M3 კატეგორიის დიდი ტევადობის ავტობუსი (31 დასაჯდომი + 49 ნებადართული ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	5	10	18	24	31	40	50	60	70	80 +
შენიშვნა	10 ქულა ნიშნავს სრულ დატვირთულობას, როდესაც ტრანსპორტში ასვლა შეუძლებელია და გაჩერებაზე არსებული მგზავრი ვერ ახერხებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასვლას.										

ილუსტრაცია # 8

მიღებული შეფასებებიდან და სატრანსპორტო საშუალებების ტევადობებიდან გამომდინარე, მოხდა მათი ცხრილის სახით ფორმატირება, სადაც ასევე მიღებულია კომბინირებული მონაცემები თითოეული მარშრუტის საშუალო დატვირთულობისა და რეზერვის გათვალისწინებით.

ეტაპი მესამე: სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა

პროექტის არეალიდან გამომდინარე, განსაზღვრულ კვანძებზე, კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილის და საღამოს პიკი საათებში (19 - 20 სექტემბერი, ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 09:00 - 10:00 და 18:00 - 19:00 სთ).

სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა ხდება თანამედროვე ვიდეო კამერებით (**Error! Reference source not found.**), რის შემდეგაც საგზაო მონაცემებს ამუშავებენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები.



ილუსტრაცია # 9

ქვეითთა მოძრაობა



ილუსტრაცია # 10

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევისას განვიხილავთ საკვლევ ტერიტორიასთან უახლოესად მდებარე 2 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებას და მათზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობას.

პირობითად ავღნიშნავთ:

- „1 მიმართულება“ - #1179 გაჩერება, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი
- „2 მიმართულება“ - #1201 გაჩერება, მირიან მეფის ქუჩისა და დ. აღმაშენებლის ხეივნის კუთხეში
-

M3 მარშრუტები	#14,	#15	#38	#54	#84			
M2 მარშრუტები	#32 #109	#41 #117	#42 #193	#44	#51	#73	#87	#100

-
- მთლიანობაში დაკვირვება ჩატარდა M3 კატეგორიის 5 და M2 კატეგორიის 11 მარშრუტზე.

M3 კატეგორია



ილუსტრაცია # 11

M3 კატეგორიის ავტობუსის 5 მარშუტიდან დიდი ტევადობის ავტობუსები ემსახურებიან #14, #15, და 54 მარშრუტებს (#14 მარშრუტზე მოძრაობს MAN-ის ფირმის ავტობუსი), #38, და #84 მარშრუტზე მოძრაობს საშუალო ტევადობის ბოგდანის მარკის ავტობუსი.

M3 კატეგორიის მარშრუტები იხილეთ დანართში N5

M2 კატეგორია



ილუსტრაცია # 12

“1 მიმართულებით“ მოძრაობს M2 კატეგორიის 11 მარშრუტი, ხოლო „2 მიმართულებით“ - 8 მარშრუტი.

მთლიანობაში დაკვირვება ჩატარდა M2 კატეგორიის 11 მარშრუტზე.

M2 კატეგორიის ავტობუსები მოძრაობენ #32, 41, 42, 44, 51, 73, 87, 100, 109, 117 და 193 მარშრუტებზე.

რეზერვების ანალიზი

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსების მაქსიმალური ტევადობების და დატვირთულობების შესწავლით მოვახდინეთ პიკის საათებში საშუალო რეზერვების გამოთვლა მიმართულებების და მარშრუტების მიხედვით.


1 მიმართულებით 8:30-09:30 საათში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის და რეზერვის ანალიზი
350
300
250
200
150
100
50
0
32 41 42 44 51 73 87 100 109 117 193 38 84 15 54 14
M2
M3 საშუალო
M3 დიდი
დატვირთულობა ადამიანი / საათში
რეზერვი (ადამიანი/ საათში)


2 მიმართულებით 8:30-09:30 საათში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის და რეზერვის ანალიზი
350
300
250
200
150
100
50
0
32 41 42 44 51 73 87 100 109 117 193 38 84 15 54 14
M2
M3 საშუალო
M3 დიდი
დატვირთულობა ადამიანი / საათში
რეზერვი (ადამიანი/ საათში)

1 მიმართულებით 18:00-19:00 საათში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის და რეზერვის ანალიზი



2 მიმართულებით 18:00-19:00 საათში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის და რეზერვის ანალიზი



M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებში არსებული რეზერვების რაოდენობები მარშრუტების მიხედვით პიკის საათში (08:30-09:30) მოცემულია ცხრილების სახით.

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/ საათში)	მოცულობა ადამიანი / საათში	დატვირთულობა ადამიანი / საათში	რეზერვი (ადამიანი/ საათში)
1	2	3	4	5	6	7	8
		A	B	C=60/B	D=A*C	F	G=D-F
32	ი. ჭავჭავაძის გამ.	21	20	3.0	63	32	32
	პატარა დიღომი	21	12	5.0	105	48	57
41	ამაღლების ქ.	21	12	5.0	105	61	44
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	7	9.0	189	158	32
42	მ/ს "დიდუბე"	21	20	3.0	63	61	2
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	10	6.0	126	80	46
44	აბაშიძის	21	15	4.0	84	34	50
	დაბა ზაჰესის დასახლება	21					
51	პოლიტკოვსკაიას ქ.	21	15	4.0	84	53	32
	თბილისი მოლი	21	8	8.0	168	76	92
73	კ.კეკელიძის ქ.	21	30	2.0	42	27	15
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	9	7.0	147	101	46
87	მ/ს "დიდუბე"	21	10	6.0	126	88	38
	ზაჰესის დასახ.	21	10	6.0	126	76	50
100	ე. მინდელის ქ.	21	15	4.0	84	27	57
	ხიზანიშვილის ქ.	21					
109	ვეკუას ქ.	21	60	1.0	21	2	19
	დიდი დიღომი IV მ/რ	21					
117	ვაზისუბნის I მ/რ	21	12	5.0	105	82	23
	თბილისი მოლი	21	9	7.0	147	69	78

193	მ/ს "სადგურის მოედანი"	21	30	2.0	42	32	11
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	10	6.0	126	105	21
38	მ/ს დიდუბე	43	9	7.0	301	215	86
	აგრარული უნივერსიტეტი	43	9	7.0	301	90	211
84	სადგურის მოედანი	43	30	2.0	86	52	34
	ფერაძის ქუჩა	43	20	3.0	129	90	39
15	სადგურის მოედანი	80	20	3.0	240	232	8
	დიდი დიღომი IV მ/რ	80	20	3.0	240	208	32
54	მაღლივი კორპუსი	80	30	2.0	160	96	64
	დიდი დიღომი IV მ/რ	80	30	2.0	160	152	8
14	ბარათაშვილის ქ.	86	20	3.0	258	146	112
	დიდი დიღომი IV მ/რ	86	15	4.0	344	284	60
1 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M3 რეზერვი							304
2 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M3 რეზერვი							350
1 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M2 რეზერვი							321
2 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M2 რეზერვი							422

ცხრილი N 5

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებში არსებული რეზერვების რაოდენობები მარშრუტების მიხედვით პიკის საათში (18:00-19:00) მოცემულია ცხრილების სახით.

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/ საათში)	მოცულობა ადამიანი / საათში	დატვირთულობა ადამიანი / საათში	რეზერვი (ადამიანი/ საათში)
1	2	3	4	5	6	7	8
		A	B	C=60/B	D=A*C	F	G=D-F
32	ი. ჭავჭავაძის გამ.	21	15	4.0	84	23	61
	პატარა დიღომი	21	30	2.0	42	15	27
41	ამაღლების ქ.	21	9	7.0	147	130	17
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	10	6.0	126	105	21
42	მ/ს "დიდუბე"	21	30	2.0	42	42	0

	დიდი დიღომი IV მ/რ	21	12	5.0	105	84	21
44	აბაშიძის	21	15	4.0	84	44	40
	დაბა ზაჰესის დასახლება	21					
51	პოლიტკოვსკაიას ქ.	21	10	6.0	126	67	59
	თბილისი მოლი	21	9	7.0	147	105	42
73	კ.კეკელიძის ქ.	21	12	5.0	105	97	8
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	15	4.0	84	34	50
87	მ/ს "დიდუბე"	21	12	5.0	105	86	19
	ზაჰესის დასახ.	21	12	5.0	105	42	63
100	ე. მინდელის ქ.	21	12	5.0	105	97	8
	ო. ხიზანიშვილის ქ.	21					
109	ვეკუას ქ.	21					
	დიდი დიღომი IV მ/რ	21					
117	ვაზისუბნის I მ/რ	21	15	4.0	84	29	55
	თბილისი მოლი	21	10	6.0	126	90	36
193	მ/ს "სადგურის მოედანი"	21	20	3.0	63	57	6
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	15	4.0	84	46	38
38	მ/ს დიდუბე	43	9	7	301	95	206
	აგრარული უნივერსიტეტი	43	9	7	301	271	30
84	სადგურის მოედანი	43	30	2	86	39	47
	ფერაძის ქუჩა	43	30	2	86	43	43
15	სადგურის მოედანი	80	20	3	240	240	0
	დიდი დიღომი IV მ/რ	80	15	4	320	224	96
54	მაღლივი კორპუსი	80	30	2	160	120	40
	დიდი დიღომი IV მ/რ	80	20	3	240	96	144
14	ბარათაშვილის ქ.	86	20	3	258	232	26

	დიდი დიღომი IV მ/რ	86	15	4	344	198	146
1 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M3 რეზერვი							320
2 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M3 რეზერვი							459
1 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M2 რეზერვი							273
2 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M2 რეზერვი							298

ცხრილი N 6

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა



ილუსტრაცია # 13

ტერიტორია მდებარეობს დიდი დიღმის გამოსასვლელთან, დავით აღმაშენებლის ხეივნის პირას, რესტორან შარბათის მომიჯნავედ.საზოგადოებრივ საქმიან ზონა-2 ში და მინიჭებული აქვს შემდეგი ქალაქგეგმარებითი პარამეტრები: კ1 -0.5-0.7. კ2 -4.6. კ3- 0.2. დაპროექებული შენობა წარმოადგენს ერთ მთლიან მოცულობას,შესაბამისად არ არის საჭირო ტერიტორიის დაყოფა საკადასტრო ერთრულებად და მშენებლობის ეტაპრბის რიგითობის დადგენა. ერთი მთლიანი მოცულობა აშენდება ერთ საკადასტრო ერთეულზე დადგენილი ქალაქგეგმარებითი პარამეტრებით - სსზ - 2. მოცემულ ტერიტორიაზე შ.პ.ს. კომპანია ჯაოკენი გეგმავს სარემონტო - სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების სავაჭრო - საგამოფენო ცენტრის განთავსებას. 5 სართულიანი შენობის მიწისქვეშა სართული დათმობილი აქვს პარკინგის და საწყობ ფართს. მიწისზედა ოთხი სართულიდან, სამი სართული კომერციულ - სავაჭრო სივრცეს, ხოლო მეოთხე სართული სასაწყობე ფართს. მიწისზედა სართულებზე შიდა ეზოს მხარეს განთავსებულია საოფისე ფართები. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება სამი კიბის უჯრედის და 2 სატვირთო და 2 სამგზავრო ლიფტის მეშვეობით. ტერიტორიაზე შესვლა ხორციელდება აღმაშენებლის ხეივნის მხრიდან.

გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება



ილუსტრაცია # 14



ილუსტრაცია # 15

გადაადგილებების სივრცითი და მათემატიკური ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა სატრანსპორტო ნაკადების განაწილების რუკა სამიზნე მაკრო ზონების მიხედვით, რომელიც მთელ ქალაქზე განზოგადდება არსებული სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან გამოყვანილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდა ჩვენს მიერ დათვლილი სატრანსპორტო ნაკადების პროპორციული გადანაწილება იმ კვანძებზეც, რომლების ანალიზიც მოთხოვნილია დავალების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

გენერირებული ნაკადები

დასახელება	რაოდენობა
გამოკითხული შინამეურნეობა	91
გამოკითხული ადამიანები	294
ყველა სახის გადაადგილება	859

გამოკითხულ შინამეურნეობათა მფლობელობაში არსებული მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები	58
ავტომობილიზაციის კოეფიციენტი მაკრო ზონისტვის	0.64
გადაადგილებები	
ავტომობილის მძღოლი	230
ავტომობილის მგზავრი	119
ტაქსით	34
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	350
ქვეითი	114
სხვა გადაადგილება	12

ცხრილი N 7

იმის გასარკვევად, თუ რა სახის ტრანსპორტით გადაადგილება ჭარბობს აღნიშნული ზონიდან, მოხდა მათი მოდალური განაწილება გადაადგილების საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 16

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხდა მოტორიზებული კერძო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების ანალიზი გეოსაინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, რათა მომხდარიყო მათი სივრცული აღქმა/განაწილება.

საკვლევი ზონიდან ყველა მიმართულებით კერძო ტრანსპორტით გადაადგილებების რიცხვი შეადგენს 383-ს, რაც მთლიანი გადაადგილებების 45%-ა. შემდგომ ილუსტრაციაში მოცემულია საკვლევი ზონის შიგნით(N45) ზონის შიგნით არსებული გადაადგილებების მოდალური განაწილება.



ილუსტრაცია # 17

რუკაზე გამოსახულია ავტომობილით გადაადგილებების სივრცითი განაწილება რაოდენობის მიხედვით სამიზნე ზონებში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილებით გადაადგილების სრული რაოდენობის 8% ხორციელდება თვითონ საკვლევი მაკრო ზონის შიგნით. საკვლევი ზონის შიგნით ასევე პოპულარულია ფეხით სიარულიც(52%).



ილუსტრაცია # 18

შემდგომ ეტაპზე მოხდა საკვლევი ზონიდან გენერირებული გადაადგილებების კვლევა მოტივის მიხედვით. ილუსტრაციაზე მოცემულია გადანაწილების პროცენტული მაჩვენებლები გადაადგილების მოტივის მიხედვით:



ილუსტრაცია # 19



ცხრილი N 8

გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი



ილუსტრაცია # 20. გენერირებული ნაკადების სივრცითი განაწილება (ერთი დღის)

რუკაზე გამოსახულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებების ინტენსივობა ფერების გრადაციით.

შემდგომ ცხრილში მოცემულია გენერირებული ადამიანების რაოდენობების ანგარიშები ფართების ტიპების მიხედვით:

	ფართი (მ²)	კოეფიციენტი[1]	ადამიანების რაოდენობა	კოეფიციენტი[2]	გადაადგილებების სრული რაოდენობა
საოფისე	660	9.3	71	2	142

ცხრილი N 9 მიზიდული გადაადგილებები (შინამეურნეობების კვლევა)

საცხოვრებელ ფართზე გამოყვანილი სავარაუდო მაცხოვრებლების რაოდენობიდან(71) შეგვიძლია ვიანგარიშოთ დღიური სავარაუდო გადაადგილებების რაოდენობა:

[1] კოეფიციენტი აღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება N 41-დან (2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი, დაკავებულობა)

[2] ადამიანების გამოთვლილი რაოდენობის მიერ შესრულებული სრული დღიური გადაადგილებების კოეფიციენტი (Error! Reference source not found.)

$$\text{დღიური გადაადგილება} = 71 * 2^3 = \mathbf{142}$$

შინამეურნეობების მობილობის კვლევის ანალიზისას ვარკვევთ საღამოს პიკის საათში შესრულებულ გადაადგილებების მოდალურ განაწილებას:



ილუსტრაცია # 21. დილის პიკის საათში გენერირებული წაკადები

	გენერირებული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	71	0.44	31
ქვეითი	71	0.04	3
ავტომობილის მგზავრი	71	0.08	6
ავტომობილის მძღოლი	71	0.40	28
ტაქსის მგზავრი	71	0.03	2

ცხრილი N 10. დილის პიკის საათში გენერირებული წაკადები

[3] **2 - დღიური გადაადგილების მაჩვენებელი თბილისის საშუალო მაცხოვრებლისთვის** (Error! Reference source not found.)

მიზიდული ნაკადები

საკვლევ ზონაში მიზიდული ნაკადების შემთხვევაში გადაადგილებების რაოდენობა ყველა სხვა ზონიდან შეადგენს 866- ს.



ილუსტრაცია # 22



ილუსტრაცია # 23



ილუსტრაცია # 24



ილუსტრაცია # 25

	მიზიდული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	71	0.35	25
ქვეითი	71	0.11	7
ავტომობილის მგზავრი	71	0.19	14
ავტომობილის მძღოლი	71	0.28	20
ტაქსის მგზავრი	71	0.07	5

ცხრილი N 11 საღამოს პიკის საათში საცხოვრებელ ფართზე მიზიდული ნაკადები

თუ შევაჯამებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზსა(თავი: „რეზერვების ანალიზი“) და ზემოაღნიშნულ ანგარიშებს, უხეშად შეგვიძლია გამოვიყვანოთ მგზავრთგადაყვანის არსებული და მოსალოდნელი რეზერვი. აღსანიშნავია, რომ მოზიდული და გენერირებული მგზავრები ავტობუსის გაჩერებებზე დამატებულია შესაბამისი ორივე მიმართულებაზე:

მიმართულების N	M3	M2	სრული რეზერვი[4]	დამატებული სავარაუდო მგზავრი
	დილა			
1	304	321	625	25
2	350	422	772	
	საღამო			
1	320	273	593	31
2	459	298	757	

ცხრილი N 12. საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზი

რეზერვების ანალიზის მიხედვით, საპროექტო ნაკადების დამატებით, ორივე მიმართულებით რეზერვი დამაკმაყოფილებელია.

[4] რეზერვი გამოთვლილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის შეფასების (თავი: „საზოგადოებრივი ტრანსპორტი“) ცხრილიდან.

საკვლევი არეალის ქუჩებისა და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა

ლოკაცია #1 დიდი დიღომი. მირიან და ფარნავაზ მეფის ქუჩების წრიული კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 1)

გზაჯვარედინზე, სადაც მირიან მეფის და ფარნავაზ მეფის ქუჩები კვეთავენ ერთმანეთს, მოწყობილია წრიული მოძრაობა.

სქემაზე ნაჩვენები მიმართულებებიდან წრეზე შემსვლელი მიმართულებებია: 1.2, 1.6, 1.10. წრეზე მოძრაობენ შემდეგი მიმართულებები: 1.14, 1.15, 1.16.

წრიული კვეთაზე მოძრაობის ინტენსივობის დაყვანილი სიდიდის გამოსათვლელად მოცემულია შემდეგი დაყვანის კოეფიციენტები:

ავტომობილის ტიპი	λ_i
მსუბუქი	1,0
სატვირთო:	
მცირე ტვირთამწეობის	1,4
საშუალო ტვირთამწეობის	1,7
დიდი ტვირთამწეობის	2,3
ავტობუსი	2,9
ავტომატარებელი	3,5

წრიული გადაკვეთის შესასვლელზე გამტარუნარიანობას რეალური საგზაო პირობების გათვალისწინებით ვანგარიშობთ შემდეგი ფორმულით:

$$P_{შეს} = \frac{c}{k_c}\left(\text{А} - \text{Б}N_{წრე}\right);$$

$$k_c = \sum_{i=1}^{n} m_i \lambda_i ,$$

სადაც: c - კოეფიციენტი რომელიც ითვალისწინებს ცენტრალური წრის დიამეტრს;

k_c - კოეფიციენტი რომელიც ითვალისწინებს ნაკადების შემადგენლობას;

m - სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებების წილი ნაკადში;

n - სხვადასხვა ტიპის სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა;

λ - მსუბუქ ავტომობილზე დაყვანის კოეფიციენტი;

A, Б - კოეფიციენტები რომლებიც ითვალისწინებს შესასვლელისა და წრეზე ზოლების რაოდენობას $n_1; n_2$ განისაზღვრება ცხრილიდან 21 [1].

$N_{წრე}$ - წრეზე მოძრაობის ინტენსივობა, დაყვანილი მსუბუქი ავტ/სთ.

დატვირთულობის კოეფიციენტი z იანგარიშება ფორმულით:

$$z = \frac{N_{შეს}}{\mathrm{P}_{შეს}}$$

სადაც: $N_{შეს}$ - წრის შესასვლელზე ავტომობილების ინტენსივობაა დაყვანილ ერთეულებში.

ურთიერთდამოკიდებულება A და Б კოეფიციენტებს შორის

სამოძრაო ზოლების რიცხვი		$N_{წრე}$, მსუბუქი ავტ/სთ	კოეფიციენტები	
n_1	n_2		A	Б
1	1	≤2240	1500	0,67
2	2	≤2530	2630	1,04
1	2	≤1400	1800	0,45
2	1	>1400	2630	1,01
1	3	≤1600	1800	0,31
1	3	≥1600	3200	1,18
2	3	≤1100	2900	0,91
2	3	>1100	3200	0,18

წრეზე შემსვლელი ზოლების რაოდენობა არის 2-ის ტოლი, ხოლო წრეზე სამოძრაო ზოლების რაოდენობა არის 3-ის ტოლი. ცენტრალური წრის დიამეტრი არის 28 მ. c=0,97. 1.11 და 1.17 მიმართულებით მოძრავი ნაკადები წრეზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს ხელს არ უშლის. ეს მიმართულებები ცალკე ვიანგარიშოთ, როგორც საავტომობილო გზა ქალაქის პირობებით.

წრის შესასვლელებზე მოძრაობით დატვირთულობის ანგარიშის შედეგები დილის პიკის საათის მონაცემების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში:

№	მიმართულების პირ. ნომერი ნახაზზე წრის მისადგომთან (წრეზე)	დაყვანილი მოძრაობის ინტენსივობა, მს.ავტ/სთ		c	k_c	A	Б	$P_{შეს}$	z
		წრის მისადგომთან $N_{მის}$	წრეზე $N_{წრე}$						
1	1.2 (1.16)	1088	173	0,97	1,04	2900	0,91	2558	0,43
2	1.6 (1.14)	1341	1103	0,97	1,06	2900	0,91	1731	0,77
3	1.10 (1.15)	130	1470	0,97	1,05	3200	0,18	2720	0,05

მიმართულებები 1.3, 1.7, 1.11, 1.12, 1.17 იანგარიშება, როგორც საავტომობილო გზა ქალაქის პირობებით.

ზოლების ჯგუფის გამტარუნარიანობის საანგარიშო მნიშვნელობა კონკრეტულ საგზაო პირობებში განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$P = P_{max} \cdot n \cdot f_{ს} \cdot f_{სატვ} \cdot f_{ქ} \cdot f_{პ} \cdot f_{ავტ} \cdot f_{ტ} \cdot f_R \cdot f_V ,$$

სადაც: P_{max} არის ზოლის პრაქტიკული მაქსიმალური გამტარუნარიანობა დაყ.ავტ/სთ;

n - ზოლების რაოდენობა;

$f_{ს}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სამოძრაო ზოლების სიგანეს;

$f_{სატვ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სატვირთო ავტომობილების წილს ნაკადში;

$f_{ქ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გზის ქანობის გრძივ დახრილობას;

$f_{პ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ავტომობილების პარკირების მიზეზით გამოწვეულ შეფერხებებს;

$f_{ავტ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფერხებებს, რაც გამოწვეულია ავტობუსებით;

$f_{ტ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის ტიპს;

f_R - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს გზის მრუდის რადიუსის სიდიდეს;

f_V - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სიჩქარის შეზღუდვას.

საავტომობილო გზების მოძრაობით დატვირთულობის კოეფიციენტი:

$$z = \frac{N}{P},$$

სადაც: N არის მოძრაობის ინტენსივობა;

P - საანგარიშო საავტომობილო გზის გამტარუნარიანობა.

ცხრილში მოცემულია ანგარიშის შედეგები დილის პიკი საათის მონაცემების მიხედვით:

მიმართულება	Pmax	n	fბ		frp		fi		fp		fавт		frep	fR		fV		P	Z
	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალური ზოლების რაოდენობა ერთი მიმართულებით		ზოლის სიგანე m	კოეფიციენტი	მაღალი გამ. სატრ. საშვალება %	კოეფიციენტი	გრძივი დახრილობა %	კოეფიციენტი	მანქრის რაოდენობა nm	კოეფიციენტი	tзам	კოეფიციენტი	კოეფიციენტი = 0.9	მრუდის რადიუსი	კოეფიციენტი	სიჩქარე	კოეფიციენტი	გზის გამტარუნარიანობა ავტ |სთ	დატვირთვის დონე
1,3-1,4-1,5	2,100	3	3.75	1.02	1.0	0.98	0	1.00	25	0.96	0	1.00	0.9	≥600m	1	60	1	5416	0.12
1,7-1,8-1,9	2,100	2	3.5	0.99	4.0	0.95	1	1.00	0	1.00	0	1.00	0.9	≥600m	1	60	1	3542	0.306
1,1-1,2-1,3	2,200	4	3.75	1.02	12.0	0.88	1	1.00	22	0.97	0	1.00	0.9	≥600m	1.00	60	1	6895	0.443
1,5-1,6-1,7	2,100	3	3.75	1.02	7.0	0.93	1	1.00	0	1.00	0	1.00	0.9	≤100m	0.85	60	1	4514	0.319
1,1-1,12	2,200	3	3.75	1.02	3.0	0.96	1	1.00	0	1.00	330	0.97	0.9	≥600m	1.00	60	1	5601	0.796

1.1 და 1.5 მობრუნების მიმართულებებს ვანგარიშობთ შემდეგი ფორმულით.

$$\mathrm{P} = N\left(\frac{e^{-N/T*(\Delta t-1)}}{1-e^{-N/T*\delta t}}\right)$$

N - მთავარი გზის ინტენსოვობა ერთ ზოლზე

e – ირაციონალური კონსტანტა ≈2,72

Δt (сп)- ზღვრული ინტერვალის დრო, რომელიც დამოკიდებილა ინტენსივობაზე და მანევრის ტიპზე.

δt - მინიმალური ინტერვალი სატრანსპორტო. საშვალებებს შორის რომლებიც ასრულებენ მანევრს.

T = 3600 წმ.

მიმართულება 1.1:

(მაცხნივ მოხვევას ახორციელებს დილით1483 ავტ/სთ)

N=992 ავტ/სთ; Δt (cn)= 4 წმ; δt = 2,2 წმ;

$$P= 992 \left(\frac{0,43}{0,45}\right) = 992 \cdot 0.96 = 953 \text{ ავტ/სთ}$$

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{1483}/_{953} = 1.55$$

მიმართულება 1.5:

(მარცხნივ მოხვევას ახორციელებს დილით 48 ავტ/სთ)

N=216 ავტ/სთ; Δt (cn)= 6 წმ; δt = 2,6 წმ;

$$P= 216 \left(\frac{0,74}{0,12}\right) = 216 \cdot 5,12 = 1106 \text{ ავტ/სთ}$$

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{48}/_{1106} = 0,04$$

საღამოს მონაცემების ანგარიში

წრის შესასვლელებზე მოძრაობით დატვირთულობის ანგარიშის შედეგები საღამოს პიკის საათის მონაცემების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში:

№	მიმართუ-ლების პირ. ნომერი ნახაზზე წრის მისადგ-ომთან (წრეზე)	დაყვანილი მოძრაობის ინტენსივობა, მს.ავტ/სთ		c	k_c	A	Б	$P_{\text{შეს}}$	z
		წრის მისადგომ-თან $N_{\text{მის}}$	წრეზე $N_{\text{წრე}}$						
1	1.2 (1.16)	1535	193	0,97	1,033	2900	0,91	2559	0,60
2	1.6 (1.14)	946	1463	0,97	1,098	2900	0,91	1386	0,68
3	1.10 (1.15)	145	1063	0,97	1,028	3200	0,18	2840	0,05

მიმართულებები 1.3, 1.7, 1.11, 1.12, 1.17 იანგარიშება, როგორც საავტომობილო გზა ქალაქის პირობებით.

ცხრილში მოცემულია ანგარიშის შედეგები საღამოს პიკის საათის მონაცემების მიხედვით:

მიმართულება	Pмах	n	fб		fгр		fi		fp		fавт		fтер	fR		fV		P	Z
	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალური	ზოლების რაოდენობა ერთი მიმართულებით	ზოლის სიგანე m	კოეფიციენტი	მაღალი გაბ. სატრ. საშუალება %	კოეფიციენტი	გრძივი დახრილობა %	კოეფიციენტი	მანევრის რაოდენობა nm	კოეფიციენტი	tзам	კოეფიციენტი	კოეფიციენტი = 0.9	მრუდის რადიუსი	კოეფიციენტი	სიჩქარე	კოეფიციენტი	გზის გამტარუნარიანობა ავტ/სთ	დატვირთვის დონე
1,3-1,4-1,5	2,100	3	3.75	1.02	2.0	0.97	0	1.00	118	0.80	0	1.00	0.9	≥600m	1	60	1	4496	0.22
1,7-1,8-1,9	2,100	2	3.5	0.99	3.0	0.96	1	1.00	0	1.00	0	1.00	0.9	≥600m	1	60	1	3576	0.410
1,1-1,2-1,3	2,200	4	3.75	1.02	6.0	0.93	1	1.00	15	0.98	0	1.00	0.9	≥600m	1.00	60	1	7347	0.498
1,5-1,6-1,7	2,100	3	3.75	1.02	4.0	0.95	1	1.00	0	1.00	0	1.00	0.9	≤100m	0.85	60	1	4643	0.235
1,1-1,12	2,200	3	3.75	1.02	5.0	0.94	1	1.00	0	1.00	375	0.97	0.9	≥600m	1.00	60	1	5472	0.650

მიმართულება 1.1:

(მაცხნივ მოხვევას ახორციელებს 1461 ავტ/სთ)

N=699 ავტ/სთ; Δt (ст)= 4 წმ; δt = 2,2 წმ;

$$P = 699\left(\frac{0,55}{0,34}\right) = 699 \cdot 1,6 = 1121 \text{ ავტ/სთ}$$

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{1461}/_{1121} = 1,3$$

მიმართულება 1.5:

(მარცხნივ მოხვევას ახორციელებს 64 ავტ/სთ)

N=289 ავტ/სთ; Δt (ст)= 6 წმ; δt = 2,6 წმ;

$$P = 289\left(\frac{0,66}{0,18}\right) = 289 \cdot 3,55 = 1026 \text{ ავტ/სთ}$$

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{64}/_{1026} = 0,06$$

ზემოაღნიშნული ანგარიშებიდან გამომდინარე საკმაოდ მაღალი დატვირთულობით გამოირჩევა 1.1 და 1.12 მიმართულება. საჭიროა მოხდეს გეომეტრიული პარამეტრების ცვლილება აღნიშნულ კვანძზე, რაც საჭიროებს დამატებით კვლევას საგზაო ინფრასტრუქტურისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზების კუთხით.

ლოკაცია #2 ჯორჯ ბალანჩინის და აკაკი ბელიაშვილის ქუჩების კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 2)

ჯორჯ ბალანჩინის და აკაკი ბელიაშვილის ქუჩების კვეთა წარმოადგენს შუქნიშნის სიგნალებით რეგულირებულ გზაჯვარედინს.

ჯორჯ ბალანჩინის ქუჩაზე არის ორმხრივი მოძრაობა. თითოეული მიმართულებით სამოძრაო ზოლების რაოდენობა $n = 4$-ს. გიორგი მინდელის ხიდის მხრიდან გზაჯვარედინის შესასვლელზე არსებული მარცხენა ორი ზოლი იძლევა პირდაპირ და მარცხნივ (აკაკი ბელიაშვილის ქუჩისკენ) მოძრაობის უფლებას, ხოლო მარჯვანა ორი ზოლიდან მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ პირდაპირ. დიდი დიღომის მხრიდან გზაჯვარედინის შესასვლელზე არსებული ხუთი ზოლიდან მარჯვენა ორი ზოლი იძლევა პირდაპირ და მარჯვნივ მოძრაობის უფლებას, დანარჩენი სამი ზოლი - მხოლოდ პირდაპირ მოძრაობის უფლებას. გზაჯვარედინის გავლამდე მარცხენა ზოლიდან მოძრაობა დასაშვებია პირდაპირ და მარცხნივ (მიმართულება 2.4) მობრუნების მიზნით.

აკაკი ბელიაშვილის ქუჩაზე ასევე ორმხრივი მოძრაობაა თითოეული მიმართულებით სამი სამოძრაო ზოლით. გზაჯვარედინის შესასვლელთან არსებული მარცხენა ორი ზოლიდან მოძრაობა დასაშვებია პირდაპირ (მიმართულება 2.7), ხოლო მარჯვენა ზოლი მიემართება (უხვევს) გიორგი მინდელის სახელობის ხიდისკენ (მიმართულება 2.8).

სამოძრაო ზოლების სიგანე $b = 3{,}6$ მ.

აკაკი ბელიაშვილის ქუჩაზე შუქნიშნიდან 75 მ-ის რადიუსში არის ავტობუსის გაჩერება (2.2 და 2.6 მიმართულებით) რომელიც გავლენას ადენს გზაჯვარედინის გამტარუნარიანობაზე, რაც ასახულია ქვემოთ მოცემულ გაანგარიშების შედეგებში.

საავტომობილო ნაკადები კონფლიქტში არ არიან ქვეითად მოსიარულეებთან თუ ისინი გადასასვლელით ისარგებლებენ მათთვის ნებადართული გადასვლის პერიოდში, გარდა მარჯვნივ მომხვევი მიმართულებისა (მიმართულება 2.6).

თანამკვეთ ქუჩებზე გზაჯვარედინიდან 75 მ მანძილზე ქუჩის პარკირების ადგილები არ არის.

მოცემულ გზაჯვარედინზე დილის პიკის საათის დროს მოქმედებს შუქნიშნით რეგულირების შემდეგი რეჟიმი:

ბალანჩინის ქუჩიდან: მიმართულებებს 2.1 და 2.2 მწვანე სიგნალი ჩართული აქვს 65 წმ-ის განმავლობაში, 2.4, 2.5 და 2.6 მიმართულებებს - 23 წმ-ის განმავლობაში;

ბელიაშვილის ქუჩიდან: მიმართულებებს 2.2 და 2.3 მწვანე სიგნალი ჩართული აქვს 63 წმ-ის განმავლობაში, 2.7 მიმართულებას - 18 წმ-ის განმავლობაში;

ბელიაშვილის ქუჩიდან მიმართულებას 2.8 მოძრაობის უფლება აქვს მუდმივად თუ ხელს არ შეუშლის ძირითადი მიმართულებით მოძრავ ტრანსპორტს.

ციკლის ხანგრძლივობა შეადგენს 98 წმ-ს.

მოძრაობის ინტენსივობის საწყისი მონაცემები 09:00-10:00 საათში მოცემულია დანართში

გაანგარიშება:

მოძრაობის ინტენსივობის დაყვანილი მნიშვნელობა გზების ერთ დონეზე კვეთისას შუქნიშნით რეგულირების დროს განისაზღვრება ფორმულით [1 გვ. 55]:

$$N_{დაყ} = k_1 \cdot N_1 + k_2 \cdot N_2 + \cdots + k_n \cdot N_n ,$$

სადაც: $k_1, k_2, \dots k_n$ - ცალკეული ტიპის სატრანსპორტო საშუალებების მსუბუქ ავტომობილზე დაყვანის კოეფიციენტებია;

$N_1, N_2, \dots N_n$ - შესაბამისი ტიპის ავტომობილების რაოდენობა რიგში.

დაყვანის სარეკომენდაციო კოეფიციენტები გზების ერთ დონეზე კვეთისას შუქნიშნით რეგულირების დროს [1 გვ. 56]:

სატრანსპორტო საშუალება	დაყვანის სარეკომენდაციო კოეფიციენტი
მსუბუქი ავტომობილი	1
სატვირთო ავტომობილი ტვირთამწეობით, ტ:	
2-მდე	1,2
2-6	1,5
6 და მეტი	1,6
მიკროავტობუსი	1,1
ავტობუსი:	
მცირე ტევადობის	1,4
დიდი ტევადობის	1,8
შეუღლებული ავტობუსი (ტროლეიბუსი)	2,4
ავტომატარებელი	2,2

